

K 15 385
2



~~K 15.385~~
2

ფასი 2 კაპ.

ძველ ებრაელთა მიწათ-მომწყობი საკავშირო
საზოგადოება „მემს“-ი

რა არის „მემს“-ი? („რუხეტი“)

(გამოცემა მორჩე)

K 15.385
2

საქ-2000
მეცნიერებათა

„საქმემს“-ის გამოცემა

ტფილისი 1929.

სახელ- წოდება №	5674
გვ. №	10243

რბ არის „მეშვენი“-ი?

(„ოჯეტ“ *).

ებრაელებისათვის მიწათმოქმედება არასოდეს არ იყო უცხო.

ოქტომბრის რევოლუციამ ბოლო მოუღო საუკუნეებით ებრაელთა უფლების უქონლობას. ებრაელთა მასებმა მოიპოვეს შრომის უფლება, მაგრამ მარტო უფლების მინიჭება საკმარისი არაა იმ მძიმე მეკვიდრობის თავიდან ასაცილებლათ, რომელიც ცარიზმმა დაუტოვა ებრაელთა მასებს. მეფის რეჟიმის დროს ებრაელთა მოსახლეობას ახლოს არ აკარებდენ მსხვილ წარმოებასთან. ებრაელთა მასები ხელოვნურად შერეკილი იყვნენ მეურნეობის სრულიად უსაფუძვლო დარგებში და ისიც მხოლოდ 15 გუბერნიის ქალაქებსა და სოფლებში, ეგრედ წოდებულ „ბინადრობის ზოლში“ („черта оседлости“).

საბჭოთა კავშირის საზღვრებში ცხოვრობს 3 მილიონამდე ებრაელთა მოსახლეობა. აქედან: ერთ მილიონამდე შეადგენენ მუშა-მოსამსახურენი და მათი ოჯახები; 200 ათასზე მეტი-მიწათმოქმედებას ეწევიან (ამათგან დიდი უმრავლესობა მიწათმოქმედებაზე გადავიდნენ 1923—1928 წლებში); 850.000 სული შეადგენს ხელოსნებს და შინამრეწველებს თავიანთი ოჯახებით; დაბოლოს, ერთ მილიონამდე ეკუთვნიან წვრილ მოვაჭრეებს (მათ კმაყოფა-

*) სიტყვა „ოჯეტ“-ი ნიშნავს ებრაელთა მიწათმომწყობი საზოგადოების რუსული სახელწოდების შემოკლებას.

ზე მყოფ პირებთან ერთად), და გამოურკვეველი პროფესიის პირებს. მთელი რიგი გამოკვლევებით დამტკიცებულია, რომ მნიშვნელოვანი ნაწილი ებრაელთა ხელოსნების, შინამრეწველებისა და მოვაჭრეების უმრავლესობა (თუ არას ვიტყვით ებრაელთა მოსახლეობის ყოველივე კლასს გარეშე მდგარ ნაწილზე), რომლებიც შეხიზნული არიან ყოფილ „ბინადრობის ზოლის“ დაბებში, ეწევიან მათხოვრულ, ადამიანის შეუფერებელ ცხოვრებას. მდგომარეობა რთულდება კიდევ მით, რომ ამ ჩამორჩენილ დაბებში არაერთარი იმედები არაა მომავალში საწარმოო შრომაზე გადასვლისა, არც თვითონ მათთვის და არც მათი შვილებისათვის. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ზრდასთან, კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის განვითარებასთან ერთად, მათ თანდათან ესპობათ საარსებო წყაროები.

ებრაელთა მასების ლტოლვა საწარმოო შრომისაკენ.

ცარიზმის დროს ებრაელთა მასების ლტოლვა საწარმოო შრომისაკენ იმსხვრეოდა მათ საშინელ უფლების უქონლობაზე. მეფის მთავრობის მთელი პოლიტიკა მიმართული იყო ებრაელთა მოსახლეობის განადგურებასა და შევიწროებისაკენ. ამას შედეგათ მოჰყვა ებრაელთა გრანდიოზული ემიგრაცია ოკეანეს იქით: 1880-დან 1915 წლამდე გადასახლდა ორ მილიონამდე ებრაელთა მოსახლეობა.

ებრაელთა მასების ცხოვრების გაჯანსაღების ფართო გზაზე გამოსვლა, გადასვლა საწარმოო შრომაზე მრეწველობაში და სასოფლო მეურნეობაში შესაძლო შეიქნა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს. რადგან მრეწველობაში გარდამეტებული მუშა ძალის მთლიანად მოთავსება შეუძლებელია და მასთან ერთად, დიდი უმრავლესობა ებრაელთა მოსახლეობისა სცხოვრობს ისეთ რაიონებში, სადაც სჭარბობს სასოფლო მეურნეობა, ამისათვის ღარიბ ებრაელთა ყურადღებას მიწათმოქმედება უფრო იპყრობს.

უკვე 1922 წლის შემოდგომიდან იწყება ებრაელთა სტიქიური გადასვლა მიწათმოქმედებაზე. არამც თუ ძველი ებრაელთა კოლონიები უბრუნდებიან სამოქალაქო ომის დროს განადგურებულ კოლონიებს, არამედ სხვა და სხვა ადგილებშიც ჩნდებიან ახლები. გარედან ყოველივე დახმარების გარეშე, უკვე ყალიბდება ებრაელთა სამიწათმოქმედო კოლექტივები, ჩნდებიან ბევრი ერთეული მიწათმოქმედნი და ებრაელთა ღარიბების დიდი რიცხვი ბოგანათ მიდიან სოფლებში.

საბჭოთა მთავრობა ანხორციელებს ებრაელთა მიწათმოწყობის საქმეს.

ებრაელთა ღარიბების საწარმოო შრომაზე გადასვლისაკენ სტიქიურმა ლტოლვამ, გამოძახილი ჰპოვა 1924 წლის 29 აგვისტოს ს. ს. რ. კ. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებაში—შეჰქმნას ს. ს. რ. კ. ცაკის ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმთან—მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის კომიტეტი („კომზეტ“ *).

ამ მომენტიდან ებრაელთა მიწათმოწყობა გარდაიქცა სახელმწიფოს საქმეთ, რამაც ერთბაშათ გავლენა იქონია ამ მიმართულებით მუშაობის გასაქანზე. „კომზეტ“-ის პირველი დადგენილება გვაუწყებს: „კომზეტ“-მა ორიენტაცია უნდა აიღოს, მშრომელ ებრაელთა 100.000ოჯახის გადასახლებაზე“, ე. ი. 20 პროცენტი კავშირის მთელი ებრაელთა მოსახლეობისა, უახლოესი ათი წლის განმავლობაში.

მთავრობის ამ გადაწყვეტილებამ დიდი გამოძახილი ჰპოვა ებრაელთა ფართო მასებში. მიწათმოქმედებისაკენ ლტოლვა დიდი შეიქნა. ჩქარი ტემპით იზრდება ებრაელთა გადასახლებულების რიცხვი. ასე, მაგალითად, თუ

*) სიტყვა „კომზეტ“-ი ნიშნავს ამ კომიტეტის რუსული სახელწოდების შემოკლებას.

1923 წ. სასოფლო მეურნეობაში ჩაბმული ებრაელთა რიცხვი უდრიდა 75.911 სულს, 1925 წელში ეს რიცხვი გაიზარდა 120,288-დე და 1928 წლის შემოდგომისათვის კი 200.000 სულს აღემატება. რამდენად მნიშვნელოვანია ეს ციფრი, ჩვენ იქედან შეგვიძლია დავინახოთ, თუ გავითვალისწინებთ მას, რომ პალესტინის კოლონიზაციის 50 წლის განმავლობაში, იქ გადასახლდა სულ 138.000 ებრაელი და ამათგან მხოლოდ 15.000 კაცი ეწევა მიწათმოქმედებას.

ამასთანვე ერთად იზრდება ებრაელების მიერ მიწათსარგებლობის მოედანი. თუ 1923 წელში ეს მოედანი უდრიდა 153.298 ჰექტარს, 1928 წელს ის უკვე გაფართოვდა 642.054 ჰექტარამდე.

ეს მიწები გამოყოფილია სახელმწიფოს თავისუფალი ფონდებიდან უკრაინაში, ყირიმში, ბელორუსიაში და ს. ს. რ. კავშირის სხვა ადგილებში.

1928 წლის 24—28 მარტს ს. ს. რ. კ-ის ცაკის პრეზიდიუმმა გამოიტანა შემდეგი ისტორიული დადგენილება: „მშრომელ ებრაელთა მასიური ჩასახლების მიზნით, გადაეცეს „კომზეტ“-ს თავისუფალი მიწები შორეულ აღმოსავლეთის მხარის, მდ. ამურზე მდებარე ზოლი, რომელიც შეიცავს ბირო-ბიჯანის რაიონს (3.895.000 ჰექტარის მოცულობით)“, და შემდეგ: „აღნიშნული რაიონის მშრომელ ებრაელებით დასახლების დადებითი შედეგების მიღების შემდეგ,—მხედველობაში იქნეს შესაძლებლობა ნაჩვენები რაიონის ტერიტორიაზე ებრაული ეროვნული ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური ერთეულის შექმნა“.

ამ დადგენილებით საბჭოთა მთავრობამ მიანიჭა ებრაელებს არა მარტო სასოფლო-მეურნეობაზე გადასვლის ფართო პრაქტიკული შესაძლებლობა, არამედ საფუძველი ჩაეყარა მომავალში ებრაელთა ავტონომიური ერთეულის შექმნას ს. ს. რ. კ-ის ფარგლებში.

საქართველოს მთავრობაც მხურვალეთ შეეგება ებრაელთა მოსახლეობის სურვილებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო განიცდის დიდ მიწის სიღვიწროვეს, საქართველოს მთავრობამ გამონახა შესაძლებლობა გამოეყო კახეთის

მაზრაში 123 ებრაელთა ოჯახის დასასახლებელი მიწის ნაკვეთი. ამ გადასახლებულთ გაეწიათ მნიშვნელოვანა მატერიალური დახმარება. დაარსებულია მთელი რიგი კოლმეურნეობები ტფილისის, ახალციხის, კულაშის, ვანის და სხვა რაიონებში. ზომებია აგრეთვე მიღებული კიდევ თავისუფალი მიწის ნაკვეთების გამოსანახათ ებრაელთათვის. სოჩის რაიონში დასახლებისათვის მიეცა ადგილი 200 ებრაელთა ოჯახს. უკანასკნელი წლის განმავლობაში 300 სულზე მეტმა მიიღო შრომითი შემოსავალი ფაბრიკა-ქარხნებში, დაწესებულებებში და საწარმოებში. სპეციალურად დაარსებული ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტმა შექმნა უკვე მთელი რიგი საწარმოო არტელებისა, რომლებშიდაც მუშაობენ 200-მდე ებრაელი, 100 სულამდე გაგზავნილია სააღმშენებლო და აბრეშუმის საქსოვკურსებზე და სხვა.

საზოგადოებრივი დახმარება ებრაელთა მიწათმოწყობის საქმეს.

პირველი ნაბიჯებიდანვე გამოირკვა, რომ იმ პირების გადასახლება მიწაზე, რომლებიც უწინ მიწათმოქმედებას არ ეწეოდენ, მოითხოვს დიდ თანხებს, რომლის გადაღება, დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობის გამო, თვითონ სახელმწიფოს არ შეუძლია.

ამ საქმეს გამოეხმაურა სმბჭოთა საზოგადოებრიობა 1925 წლის 17 იანვარს.

მთელა რიგი პარტიულ და უპარტიო საზოგადოებრივი მუშაკების ინიციატივით, დაარსდა საკავშირო მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის საზოგადოება („მემმს“-ი).

„მემმს“-ი, როგორც საბჭოთა საზოგადოებრიობის ორგანიზაცია, მიზნათ ისახავს ებრაელთა მასების გაჯანსაღებისათვის მობილიზაცია გაუკეთოს საზოგადოებრივ თვით-მოქმედებას, გააერთიანოს, ეროვნების და მიუხედავათ, ყველა ღარიბ ებრაელთა მიწათმოწყობის აქტიური მეგობრები, ყველა, ვინც მზათ არის დაეხმაროს საბჭოთა მთავრობას ამ დიად დასაწყისის განხორციელებაში.

ამჟამად „მემს“-ის მიერ დაარსებულია 500-დე განყოფილება 200.000 წევრით.

„მემს“-ის საქართველოს განყოფილება დაარსებულია 1927 წლის ბოლოში. თავის არსებობის მოკლე ხნის განმავლობაში, შეიძინა 5.000-მდე წევრი, დაარსა განყოფილებები ტფილისში, ქუთაისში, ცხინვალში, ბათუმში და ფოთში; გამგზავრებულ იქნა ყირიმში 19 ებრაელთა ოჯახი; მიაქცია საბჭოთა საზოგადოებრივობის ყურადღება საქართველოში მოსახლე ებრაელთა იმ ნაწილის საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაზე გადაყვანის პრობლემას, რომელიც ყოველ კლას გარეთ არის დარჩენილი.

ამჟამად „საქმემს“-ის წინაშე სდგას მთელი რიგი სერიოზული ამოცანებისა, რომელთაგან უმთავრესია კახეთში გადასახლებულთა ჯგუფისათვის დახმარების გაწევა. ეს კი მოითხოვს დიდ ორგანიზაციულ მუშაობას და თანხებს.

ებრაელები შესანიშნავად უთვისდებიან ახალ შრომას.

ებრაელთა ღარიბები, მიუხედავად მძიმე პირობებისა და მატერიალური საშუალებათა სიღარიბისა—ნამდვილ რაინდობას იჩენენ მიწაზე თავის შრომის განხორციელების საქმეში. სრულიად ახალ და შეუჩვეველ პირობებში, უმცირეს საშუალებათა უქონლობის დროს, საშინელ სიღარიბეში-ახლად ჩასახლებული ებრაელნი ხელუხლებელ, მიგდებულ და ხშირად გამოუსადეგარ მიწებს, ნოყიერ ყანებად აქცევენ.

ახლად ჩასახლებული ებრაელები აკეთებენ მეტად მნიშვნელოვან საქმეს, რომლითაც დაინტერესებულია არა მარტო ებრაელთა ღარიბობა, არამედ მთელი ს. ს. რ. კ-რი.


უნდა დავეხმაროთ ღარიბ ებრაელებს განთავისუფლდნენ სიღარიბის, უცოდინარობის, რელიგიური ფანატიზმის და ტრადიციული ვაჭრუკანობის ბრწყალებსაგან. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაზე გადაყვანის გზით.

ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ „მემმს“-ს მის ძნელ
და, თავისი ამოცანებით სამადლობელო, საქმეში.

ყველა დავეხმაროთ ებრაელ მიწის მუშას!

დაეხმარეთ ებრაელთა მშრომელ მასებს საწარმოო
შრომაზე გადასვლის საქმეში!

ჩაეწერეთ „მემმს“-ის წევრათ!



სტამბა „ზარია ფოსტოკა“-სი

მთავლიტი 1119.

შეკვეთა 1404.

ტირაჟი 5,000.

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



K 15.385/2